სსიპ - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ქ. თბილისი, ქ.წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქ.50/18

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით IT (საინფორმაციო ტექნოლოგიური) მომსახურება, პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება, ინტერნეტი და ტექნიკური უზრუნველყოფის (ვებ საიტის ჰოსტინგის და მომსახურების სერვისი) მომსახურების შესყიდვა

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინსტრუქცია გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეთათვის -3
2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ---------- 6
3. ტექნიკური დავალება ---------- 7
4. სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების პროექტი ---------- 9

ინსტრუქტაჟი

გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

გამარტივებულ ელექტრონული შესყიდვა, როგორც თქვენთვის უკვე ცნობილია, ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომში სისტემა) მეშვეობით. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადებისთანავე, თქვენ გეძლევათ საშუალება გაეცნოთ სატენდერო განცხადებას და სატენდერო დოკუმენტაციას. სატენდერო წინადადების მიღება იწყება წინადადების მიღების ვადის დასრულებამდე 2 დღით ადრე. სატენდერო წინადადების წარდგენისათვის: პირველ რიგში, მიმწოდებელი უნდა დარეგისტრირდეს სისტემაში. შემდეგ, იგი ვალდებულია გაეცნოს აფიდავიტს და დაეთანხმოს მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებს სისტემის მეშვეობით). ამის შემდეგ, იგი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური. აღნიშნული მოქმედებები შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ელექტრონულად (სისტემის მეშვეობით), ასევე სისტემის გამოყენების გარეშე. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და, შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%–ის ოდენობით. ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია დაბრუნებას არ ექვემდებარება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ პრეტენდენტი უარს აცხადებს მის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებაზე;

ბ) თუ საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება (მათ შორის, ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ) სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;

გ) თუ გამარჯვებული პრეტენდენტი უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან ვერ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას (ასეთი გარანტიის არსებობის შემთხვევაში) კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში;

დ) პრეტენდენტის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებისას.

მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნულ ქმედებებს განახორციელებთ, თქვენ უფლება გაქვთ სისტემის მეშვეობით წარადგინოთ სატენდერო წინადადება. სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი. თუ სატენდერო განცხადებაში მითითებულია, რომ სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილ უნდა იქნას დამატებული ღირებულების გადასახადის (შემდგომში დღგ) გარეშე, მიმწოდებელი სისტემაში ფასს უთითებს დღგ–ს გარეშე, თუმცა თუ იგი დღგ–ს გადამხდელია, შესაბამისი ოდენობით თანხა გათვალისწინებულ იქნება ხელშეკრულებაში.

სატენდერო წონადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.

ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ბიჯზე არანაკლები ოდენობით. ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასაწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და, შესაბამისად, ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.

დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში - კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი.

მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია. თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით.

საკვალიფიკაციო მონაცემები არის ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი დოკუმენტები, რომლებიც წარმოდგენილ უნდა იქნას სატენდერო განცხადებით ან სატენდერო დოკუმენტაციით მათი მოთხოვნის შემთხვევაში. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის თარიღი არ უნდა უსწრებდეს სატენდერო წინადადების მიღების ვადის დასრულების თარიღს.

საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენისათვის შემსყიდველი პრეტენდენტს განუსაზღვრავს ვადას არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა. იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაირა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული), ამ პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების

დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას.

იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია თუ იგი არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს არაუმეტეს 3 დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება, რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე. ამ შემთხვევაში ხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება ასევე მის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს. თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას, სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი.

ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1.1 იურიდიული პირისათვის და ინდივიდუალური მეწარმისათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოდან, რომ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება;

ბ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

გ) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) პრეტენდენტის შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ინფორმაცია სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის შესახებ. სატენდერო წინადადება უნდა მოქმედებდეს მისი სისტემაში ატვირთვის დღიდან არანაკლებ 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

1.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ნასამართლობის შესახებ ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოდან, რომლითაც დასტურდება, რომ პირი არ არის ნასამართლევი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი თავებით გათვალისწიებული დანაშაულისათვის: თავი XXVI დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ და თავი XXXIX სამოხელეო დანაშაული;

ბ)პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

გ) პრეტენდენტის შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ინფორმაცია სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის შესახებ. სატენდერო წინადადება უნდა მოქმედებდეს მისი სისტემაში ატვირთვის დღიდან არანაკლებ 20 კალენდარული დღის განმავლობაში;

1.3. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

1.4. საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ტენდერისთვის ”ტენდერი გამოცხადებულია” სტატუსის მინიჭების შემდეგ. აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილ უნდა იქნეს ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების დამთავრების შემდგომ შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

ტექნიკური დავალება

1.4. პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (მის: ქ.თბილისი, ქ.წამებულის გამზ/ბოჭორმის ქ.50/18) ვებ გვერდის www.gncc.ge ტექნიკური მხარდაჭერის, მომსახურების, განახლებისა და განვითარების მომსახურების გაწევა 2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

ამ ტენდერით მოთხოვნილი მომსახურება გულისხმობს შემდეგი სახის კონკრეტულ მომსახურებებს, რომელთა მოთხოვნებია:

ა) დამკვეთის ვებგვერდის www.gncc.ge განთავსება გლობალურ ქსელში ჩართუ სერვერზე;

ბ) გლობალური ქსელიდან საიტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ხელშეკრულების მოქმედების ვადის მინიმუმ 99.9% დროით;

გ) გლობალურ ქსელთან დაშვების სიჩქარე მინიმუმ 10 მეგაბიტი წამში;

დ) ვებ სივრცე 50 გიგაბაიტი;

ე) ლოკალურ (საქართელოს ოპერატორებიდან) დაშვების სიჩქარე 100 მეგაბიტი წამში;

ვ) სერვერზე განთავსებული ყველანაირი ინფორმაციის ყოველდღიური ავტომატური სარეზერვო ასლის შენახვის უზრუნველყოფა და ავარიის შემთხვევაში სარეზერვო ასლიდან აღდგენა ავარიიდან მაქიმუმ 12 საათის განმავლობაში;

ზ) მაქიმალური დაცვის უზრუნველყოფა საიტზე არასანქცირებული შეღწევის ალბათობის მინიმუმამდე შესამცირებლად;

თ) დამკვეთის ვებ გვერდისათვის (www.gncc.ge) პერმანენტული საკონსულტაციო და პროგრამული მომსახურება;

ი) საიტის გამართული მუშაობის მონიტორინგი და შემსყიდველის ან შემსრულებლის მიერ აღმოჩენილი პროგრამული გაუმართაობების დროული აღმოფხვრა;

კ) ინფორმაციი განახლებაზე მომუშავე პერსონალის სატელეფონო კონსულტაცია და ტექნიკური დახმარება;

ლ) ინფორმაციის განახლებაზე მომუშავე პერსონალის ტრეინინგი საიტის ამა თუ იმ განყოფილების ადმინისტრირებაში. ტრეინინგის განხორციელების ადგილია შემსყიდველის მთავარი ოფისი (მის: ქ.თბილისი, ქ.წამებულის გამზ/ბოჭორმის ქ.50/18);

მ) საიტის შინაარსის სამართავი მექანიზმის პერმანენტული დახვეწა მეტი მოქნილობის მისაღწევად და ინფორმაციის მართვის გამარტივების მიზნით;

ნ) ანიმირებული და სტატიკური სარეკლამო / საინფორმაციო ბანერების დამზადება და საიტზე განთავსება დამკვეთის მოთხოვნისამებრ;

ო) საჭიროების მიხედვით ახალი საანონსო ინფორმაციული ბლოკების დამზადება და განთავსება;

პ) განსხვავებული პროგრამული მოდულებისა (გვერდის ტიპების) და მათი საადმინისტრირებო ინტერფეისის შექმნა და ინტეგრაცია საიტის ძრავთან. აგრეთევ არსებულების კორექტირება მოთხოვნათა შესაბამისად;

ჟ) საიტის გლობალურ საძიებო სისტემებში რეიტინგის მოსაპოვებლად საჭირო სამუშაოების პერმანენტული ჩატარება და პერიოდულად საიტის ადმინისტრაციისათვის რეკომენდაციების შემუშავება საიტის ტექსტური ნაწილის ოპტიმიზაციის მიზნით;
რ) საჭიროების შემთხვევაში საიტის დიზაინის მოდიფიცირება დამკვეთის მოთხოვნაა შესაბამისად;
ს) ყოველ სამუშაოს დამკვეთი ავალებს შემსრულებელს წერილობითი სახით (მიმოწერისათვის დასაშვებია ელ–ფოსტის გამოყენება) და თან ურთავს შესაბამის ვიზუალურ თუ ტექსტურ მასალას;
1.5. მომსახურება უნდა განხორციელდეს 2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
1.6. პრეტენდენტი ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს გასაწევი მომსახურების განფასებას (შესაძლებლობის შემთხვევაში). სატენდერო წინადადების ღირებულება უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების სრულყოფილად გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას. სატენდერო წინადადების ფასი სისტემაში მითითებულ უნდა იქნას დღგ–ს გარეშე. ამ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შედეგად დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება მოხდება კომისიის ბიუჯეტიდან, ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებაში გათვალისწინებული იქნება გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ფასი.
1.7. ანგარიშსწორება განხორციელდება წარმოდგენილი ანგარიშფაქტურების საფუძველზე ეტაპობრივად, წინასწარი ანგარიშსწორების პირობები არ განიხილება.
1.8. მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაეთანხმოს აფიდავიტის პირობებს, რა სახითაც იგი წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადების წარდგენამდე.
1.9. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.
1.10. პრეტენდენტმა სატენდერო წინადადედბასთან ერთად უნდა წარმოადგინოს საკუთარი რეკვიზიტები (სახელი/სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო მონაცემები, მისამართი, ტელეფონი)
1.11. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან:
სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:
გრიგოლ სულუხია ტელ: 399669, ელ.ფოსტა: gsulukhia@gncc.ge
დავით ჭანკოტაძე ტელ: 384973, ელ.ფოსტა: dchankotadze@gncc.ge

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი
ხელშეკრულება N

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციედლება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თბილისი **2011 წელი**

ერთის მხრივ სსიპ საქართველოს კომუნიკაციებირ ეროვნული კომისია (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ---------- სახით და მეორეს მხრივ, ———————— (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი ———————— სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელქტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა
მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „მომსახურება“–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ტექნიკური დავალება“ – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. www.gncc.ge ვებ გვერდის ჰოსტინგისა და მომსახურების გაწევა კომისიისათვის 2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში და პრეტენდენტის სატენდერო წინადადებაში, რომელიც ხელშეკრულების დანართს წარმოადგენს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ლარს.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა ხარჯს.
3.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება ხორციელდება შემსყიდველის საკუთარი სახსრები.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ეტაპობრივად. შუალედური ანგარიშსწორება იწარმოებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების შესაბამისი ანგარიშფაქტურიდს საფუძველზე.
4.3. თითოეული ანგარიშფაქტურაში ნაჩვენები უნდა იქნას გაწეული მომსახურების ღირებულება.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია კომისიის მისამართი: ქ. თბილისი, ქ.წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქ. 50/18.
5.2. მომსახურების გაწევის ვადაა 2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
5.3. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ტექნიკური დავალების შესაბამისად.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურების გაწევის დარსულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
ბ) უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით.
ბ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ტექნიკური დავალების შესაბამისად;

7 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.
7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.5. მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი
ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:
სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
მიმწოდებელი: